

# Akkordspachtel KF

ტენიანობისადმი მედეგი, დისპერსიული პასტისებრი ფითხი - შიდა სამუშაოებისთვის



## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გამოყენებისთვის მზა, უჰაერო პრინციპით მისაფრქვევი აპარატებისთვის თავსებადი, მაღალი ადჰეზიურობის თვისებითა და ტენიანობისადმი მედეგი ინტერიერის ფითხი. გამოირჩევა მომატებული ტენიანობის დიდ სივრცეებში მედეგობით, კარგი ფარვისა და შევსების თვისებებით და კედლებსა და ჭერზე მიფრქვევისას, რაციონალური მოხმარებით. საუკეთესოდ გამოდგება ბეტონის გასასწორებლად (მაგ. მონოლითური ბეტონი და ბეტონის ფილიგრანული ჭერი). ასევე გამოიყენება - მინერალური ბათქაშების, ბრტყელი ბლოკების, ფოროვანი ბეტონის, თაბამირის და თაბამირ მუყაოს ფილების - ზედაპირების გასათანაბრებლად. განსაკუთრებით შესაფერისია ზედაპირების წინასწარი მომზადებისთვის, რომლებზეც შემდგომ უნდა გაკვრას დიფუზიის შემნელებელი, ან დიფუზიის გაუმტარი ქალაქდი/შპალერი (პლასტიკური ან ვინილის ქსოვილი) და ასევე მინაბოჭკოვანი შპალერისა და ფაქტურირანი/დეკორატიული ბათქაშების დამუშავებისთვის. შეიძლება გამოყენებულ იქნას ზედაპირის ხარისხის დონის Q2, Q3 ან Q4 მისაღწევად, BVG ბროშურის No2 და BFS ბროშურის No12 მონაცემების შესაბამისად.

თვისებები

**ფენის სისქე - ერთ სამუშაო სვლაში:** 0 - დაახლ. 6 მმ, ობიექტზე არსებული გარემო პირობებიდან გამომდინარე (ტემპერატურა, ტენიანობა)

- ტენიანობის მიმართ მაღალი მედეგობა
- მაღალი ადჰეზიის უნარი
- მარტივი მოხმარება დატანისა და გასწორებისას
- კარგად შრება და მყარდება, არ იკეთებს ბზარებს
- მშრალ მდგომარეობაში შესაძლებელია მოზუმფარება
- დიფუზიის უნარით
- წყალდისპერსიული, გარემოსთვის უსაფრთხო და ნაკლები სუნით AggB-ს მიხედვით
- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში და გამხსნელების გარეშე

მასალის შემკვრელი

პლასტიკური დისპერსია DIN 55945 მიხედვით.

შეფუთვის ზომები

25კგ - სათლი

ფერი

ბუნებრივი თეთრი

სიპრიალის ხარისხი

მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

დამხმარე პროდუქტები

Caparol-Füllspachtel P, როგორც ფილიგრანული ჭერის სახსრის შემავსებელი

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606- ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	-	-
(-) არ არის შესაფერისი / (○) ზღვრულწიგად შესაფერისი / (+) შესაფერისი				



## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და განმაცალკეველი ნივთიერებისაგან თავისუფალი. გაითვალისწინეთ VOB, ნაწილი C, DIN 18363, ჰარაგრადი 3-ის ნორმატივები. არსებული ზედაპირიდან და მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფიფის გამოყენებამდე უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი საბაზისო საფარი. პრიალა მზიდი ზედაპირები საჭიროებს წინასწარ გაუხეშებას.

ზედაპირის მომზადება

**PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები/კომპრესიული სილიერე DIN EN 998-1 შესაბამისად არა ნაკლებ B 1,5 N / mm<sup>2</sup>:** მყარი, კარგად შემწოვი ბათქაშები შეღებთ წინასწარი დამუშავების გარეშე. ფოროვანი, ცარცვადი შემწოვი ბათქაშები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით ან CapaSol Konzentrat-ით.

**PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები/კომპრესიული ძალა DIN EN 13279 შესაბამისად არა ნაკლებ 2 N / mm<sup>2</sup>:** დაიგრუნტოს Caparol –Haftgrund EG -თი. თაბაშირის ბათქაშები არასწორი ზედაპირით დააზუმფარეთ, განმინდეთ მტკრისგან და დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger -ით.

**სამშენებლო თაბაშირის ფილები:** თაბაშიროქოვანი ფილები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund -ით ან CapaSol Konzentrat-ით. გლუვი, მკვრივი ზედაპირის ფილები დაგრუნტეთ HaftGrund EG-ით.

**თაბაშირ-მუყაოს ფილები:** დააზუმფარეთ ფიფის ნარჩენები. რბილი და დაზუმფარებული ადგილები გაამყარეთ Dupa-Putzfestiger-ით. ფილები წყალში ხსნადი პიგმენტური ლაქებით, დაგრუნტეთ AquaSperrgrund-ით.

**ბეტონი:** მოაცილეთ ცარცვადი, ფხვნადი ნივთიერებები.

**ფოროვანი ბეტონი:** დაგრუნტეთ Capaplex 1:3 წილ წყალთან.

**კირი და აგური/კრამიტი:** დაიტანეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

**მყარი მზიდი დანაფარები:** მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები დაფარეთ დაუმუშავებლად. პრიალა, ლაქით და ემალით დაფარული ზედაპირები დააზუმფარეთ და დაამუშავეთ HaftGrund EG-ით.

**არამზიდი დანაფარები:** არამზიდი ხელოვნური ფისის თაბაშირები, ლაქისა და დისპერსიული საღებავების დანაფარები, მოაშორეთ სრულად. სუსტად შემწოვი, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ.

**დანაფარები ნებოვანი საღებავით:** საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**არამზიდი შპალერი:** მთლიანად მოაშორეთ, მორეცხეთ და გაასუფთავეთ ნარჩენებისგან. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**ხავს-მოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები:** ობით და სოკოთი დაზიანებული ადგილები განმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox-ით ან FungiGrund-ით და კარგად გააშრეთ.

**ზედაპირები ნიკოტინის, წყლის, ქვარტლის და ცხიმის ლაქებით:** ნიკოტინით, ქვარტლით და ცხიმით დაბინძურებული ზედაპირები ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად ქურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და განმინდეთ. წაუსვით CaparolAquaSperrgrund-ი ძლიერ დაბინძურებულ ზედაპირებზე.

**ბზარები, სახსრები და დეფექტები:** ცარიელი ადგილები შეავსეთ Caparol Füllspachtel P-ით.

**მითითება: Q2/Q3 ფიფი / თხელი თაბაშირის ფილები < 0,5 მმ:** თაბაშირის შემცველი, ხარისხის Q2/Q3 - დონის ჰიდრაულიკურად შემავსებელი ფიფის გამოყენებისას, რეკომენდებულია გამჭვირვალე, წყლის ბაზაზე არსებული საგრუნტავი მასალის გამოყენება.

დატანის მეთოდები

**დაიტანება ხელით/ქაფრით ან უჰაერო მიფრქვევით (Airless).**

**ხელით/კელმით დატანა:**

გამოყენებამდე საფუძვლიანად ამოურიეთ და დაიტანეთ უჰანგავი ფოლადის კელმით.

**უჰაერო მიფრქვევით (Airless) დატანის მეთოდი:**

კედლისა და ქერის ზედაპირებზე, განსაკუთრებით რაციონალური და ეკონომიური - ფიფის მძლავრი უჰაერო მიფრქვევის აპარატით დატანა.

**სამუშაო პროცესი:**

მიფრქვევით სრულ ზედაპირზე უხვად - განუზავებელი Akkordspachtel KF-ი და დაუყოვნებლივ გაასწორეთ მასალა შესაფერისი ფოლადის საგლუვი კელმით. ზედაპირის მოხვენა/დაზუმფარება შესაძლებელია მხოლოდ სრული გაშრობის შემდგომ. ტენიანობის მიმართ მაღალი მედეგობის გამო, ზედაპირის მოხვენა/დაზუმფარება უნდა განხორციელდეს 7 დღის განმავლობაში. საფიფის მასის განსაკუთრებით ეფექტური დაზუმფარებისთვის, რეკომენდირებულია სამუშაოების ჩატარება პირველი 2 დღის განმავლობაში. ზუმფარის ქაფალები, როგორცაა: Mirka-ს წარმოების - Abranet-ი ან Festool-ის წარმოების - GranatNet-ი (მარცვლის ზომით 120), სამუშაოს უფრო ეფექტური შესრულების შესაძლებლობას იძლევა. Akkordspachtel KF-ი დროსთან ერთად უფრო და უფრო მყარდება, რამაც შეიძლება გართულოს მისი მომდევნო მოხვენა/დაზუმფარება.

**შესაფერისი მიფრქვევის მოწყობილობები:**

ფიფის დამუშავება შესაძლებელია ბათქაშებისთვის განკუთვლილი კონვეიერის მოწყობილობით და ძლიერი უჰაერო მიფრქვევის აპარატებით. გამოყენებული უნდა იქნას მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული, შესაბამისი მიფრქვევის აპარატის თავი (პისტოლეტი), მას აქვს უფრო მაღალი გამტარუნარიანობა და მნიშვნელოვნად აადვილებს ფიფის დატანის პროცესს. რეკომენდირებულია პროდუქტის ამორევა - შესაბამისი მომრევი აპარატით.

Airless Heavy Coat	
წნევა მიფრქვევისას	150 - 180 bar
მიფრქვევის კუთხე	40° - 50°
ნახვრეტის სისქე (Inch)	0,035" - 0,043"
ფილტრი (MW)	მოიხსნას
მიფრქვევა უჰაერო (Airless) აპარატით*	
ნახვრეტის სისქე	4მმ
წნევა მიფრქვევისას	50 bar
საჰაერო მხარდაჭერა	კი
ბათქაშის მიფრქვევის სისტემა	
ნახვრეტის სისქე	4 - 6მმ
ოპერაციული წნევა	დამოკიდებულია მოწყობილობაზე
მიწოდების რაოდენობა	>6ლ/წუთი
საჰაერო მხარდაჭერა	კი

\* საჭიროებს მოწყობილობის შესაბამის თავს

დაფარვის სტრუქტურა

**ფითხით დამუშავებული ზედაპირების შემდგომი დაფარვა:**

**საღებავები / ბათქაშები:**

Akkordspachtel KF-ით დამუშავებული ზედაპირები, საფუძვლიანად გაშრობის შემდეგ, შეიძლება დაიფაროს ყველა შესაფერისი კაპაროლის დისპერსიული და ლატექსური საღებავით, ან Capacryl-ის აკრილის ლატექსით. შემდგომი დამუშავება რეკომენდირებულია განხორციელდეს შემდეგი პროდუქტებით: Sylitol®-ის ინტერიერის საღებავები, Sylitol®-ის ბათქაშები. ასევე საგრუნტი მასალები: Caparol-Haftgrund EG, CapaSol Konzentrat, CapaSol RapidGrund. დისპერსიული ბათქაშების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ზედაპირის წინასწარ დაგრუნტვა პროდუქტით: Putzgrund 610.

**მინაბოჭკოვანი პოლიესტერის კედლის ქსოვილები (შპალერი/ქაღალდი):**

გასწორებული გლუვი ზედაპირები, საფუძვლიანი გაშრობის შემდგომ შეიძლება პირდაპირ დაიფაროს მინაბოჭკოვანი და პოლიესტერის შპალერით. ამ შემთხვევაში საჭიროა წინასწარ დაიგრუნტოს პროდუქტით: Caparol-Haftgrund EG.

**დიფუზიის შემნელებელი ან დიფუზიისადმი მედეგი კედლის საფარები (შპალერი, ქაღალდი):**

Akkordspachtel KF-ით დამუშავებული ზედაპირები, საფუძვლიანი გაშრობის შემდგომ უნდა დაზუმფარდეს და დაიგრუნტოს პროდუქტით: CapaSol RapidGrund-ი. მკვრივი ზედაპირზე Akkordspachtel KF-ი სრულად უნდა გაშრეს, სხვა სამუშაოების გატარებამდე. სრული გაშრობის შემდგომ შეიძლება Akkordspachtel KF-ით დამუშავებულ ზედაპირზე, დიფუზიის შემნელებელი ან დიფუზიისადმი მედეგი შპალერის/ქაღალდის დატანა. მიაქციეთ ყურადღება მწარმოებლის მიერ მოწოდებულ ტექნიკურ ინფორმაციას.

ხარჯი

დაახლ. 1,5 კგ/მ² ფენის სისქე

გამოყენების პირობები

**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:**

ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 °C. მასალის ტემპერატურა გამოყენებისას უნდა იყოს > +10 °C.

შრობის დრო

დამოკიდებულია ჰაერის ტენიანობაზე, ტემპერატურაზე და მასალის ფენის სისქეზე. დაახლ. 12-48 საათი.

მითითება

არ გამოიყენება ზედაპირებზე, სადაც წყლის ან მუდმივი ტენიანობის ზემოქმედება 70 %-ზე მეტია. ბუნებრივი შემავსებლების გამოყენების გამო, შესაძლოა ფერის მცირედი ცვლილებები.

მკვრივ და ნაკლებად შემწვრ ზედაპირებზე, შესაძლოა წარმოიქმნას წვრილი ბუბუტკები. მათი მოშორება შესაძლებელია, ოდნავი გაშრობის შემდეგ ფითხის ხელახლა გადაპირალებით. შემდგომი გადაპირალების დრო დამოკიდებულია ობიექტის ტემპერატურასა და ჰაერის ტენიანობაზე. იმ შემთხვევაში თუ გადაპირალების შემდგომ ბუბუტკები ისევ წარმოიქმნა, ეს იმას ნიშნავს რომ ფითხის გასწორება ნაადრევად მოხდა. გაიმეორეთ გასწორების პროცესი ხელახლა. ამ ეფექტის შესამცირებლად საჭიროა პიგმენტირებული საგრუნტავის - Caparol-Haftgrund-ის გამოყენება.

უხეში, სტრუქტურირებული ზედაპირებისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს, ფითხის განმეორებით დატანა, თანაბარი ზედაპირის მისაღწევად.

მითითებები

შეფასებები	ხანძრის შემთხვევაში - პროდუქტის ქცევის კლასიფიკაციის ანგარიში.
უსაფრთხოების რჩევები	მოარიდეთ ბავშვებს! შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. თვალეები და კანი დაიცავით შეფუებისგან. თვალში ან კანზე მოხვედრისას გულდასმით დაიბანეთ წყლით. გადაყლაპვის შემთხვევაში არ გამოიწვიოთ ხელოვნურად პირღებინება. მაშინვე მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი. შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონ, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონ.
უტილიზაცია	მეორადი გადამამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერსული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	ამ პროდუქტის ჯგუფისთვის, არ არსებობს აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია, ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. < 1 გ/ლ VOC-ს.
პროდუქტის კოდი/Giscode	BSW20
შემადგენლობა	პოლიაკრილატის ფისი, კალციუმის კარბონატი, სილიკატები, წყალი, დანამატები, კონსერვანტები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს კაპაროლ ჯორჯია**  
აღ. ქართველიშვილის ქ. N8,  
0198 თბილისი საქართველო  
office@caparol.ge  
www.caparol.ge